ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომი სოქმი # 14

2018 წლის 19 თებერვალს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი, რიგით მეთოთხმეტე სხდომა, რომელსაც ესწრებოდა დელეგატთა უმრავლესობა და მოწვეული ექსპერტები. სხდომას უძღვებოდა ფასილიტატორი ბ.-ნი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს სხდომის გახსნა-პავლე თვალიაშვილი;

2. 2017 წლის 3 კვარტლის ბიუჯეტის შედეგების განხილვა;

3. თემატურ ჯგუფებში მუსაობის მეთოდები;

4. მრჩეველთა საბჭოს წესდების ჩასწორებული ვერსიის განხილვა.

19 თებერვლის შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა წარადგინეს და იმსჯელეს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელზეც ყურადღება გამახვილდა 3 კვარტლის მონაცემების განხილვისას.

ასევე, შეიმუშავეს მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს და საბჭოს მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის. მოხდა ბიუჯეტის საკითხების ჩაშლა თემატური ჯგუფების მიხედვით და კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირება. შემდეგი შეხვედრისათვის დასკვნითი რეკომენდაციების მომზადება დაევალა: 1) განათლების ჯგუფს; 2) ჯანდაცვისა და სოციალურ საკიტხთა ჯგუფს; 3) ინფრასტრუქტურის ჯგუფს; 4) სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა ჯგუფს.

შეხვედრის მეორე ნაწილში დელეგატებმა წარადგინეს და იმსჯელეს მრჩეველთა საბჭოს წესდების ჩასწორებულ ვარიანტზე. რჩევები და რეკომენდაციები მიიღეს ექსპერტებისაგან და კონსესუსის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით წესდება კვლავ გადაეცათ თემატურ ჯგუფებს ჩასასწორებლად.

სხდომის დასასრულს შეხვედრა შეაჯამეს ექსპერტებმა. შეხვედრის წამყვანმა ბ.-ნმა პავლე თვალიაშვილმა მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებს აქტიური მუშაობისათვის და შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 12.03.2018 წ საღამოს 19:00 სთ-ზე.

სხდომის

მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო

19.02.2018 წ.